წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 11 მარტი 1916 წ. № 56

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი განცხადებანი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., ჯაკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვეურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სასტუმრო „ავრორა“
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მოწართული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის,** მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამეჭინიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—4)

28 თებერვალს, ქ. ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი, ალმანახი

„ახალი ცისკარი“

შემდეგი შინაარსით:

I. **პოეზია. ია ეკალაძე**—შვილი მუშა ბოქულაძისა. **გალაქტიონ ტაბიძე**—კოშკი. **ნ. ჩხიკვაძე**—განცდა მგოსნისა. **ვ. რუხაძე**—მე ბუნების მიჯნური ვარ. **გ. მეგრელიშვილი**—ქურუმი. **ლადო მაჭავარიანი**—მზე-ქალი. **მ. ანანიშვილი**—მოგონება. **სიმ. წეველი**—გედი.

II. **პროზა. დემნა შენგელაია**—მემომნის ძეგლი. **ნიკ. ახათიანი**—ფურცელი სიყვარულისა. **ნ. მიწიშვილი**—ძველი ლეგენდა. **ვასო ჭითავა**—და-ძმა. **ბ. მირზაშვილი**—ვარდი. **ირ—დი**—პირველი ნაბიჯი.

III. **კრიტიკა.**

IV. **ბიბლიოგრაფია.**

მიმოხილვანი.

ფასი ყველგან ორი შაური.

მოკლე ხანში ხელის მოწერით გამოვა
კიკნა-ფშაველისა
პოემათა და ლექსთა კრებული—ავტორის სურათით, ბიოგრაფია-წინასიტყვაობით და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.
ეღირება ათ შაურად.
ხელის მოწერა შეიძლება—თბილისში: **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში; **ალ. შარიკაძესთან**—ტრამვაის მოსამახურეებში; **საშუალო სასწავლებლებში; გ. ჭუჩიშვილთან**—ქ. კულტ. მოყვ. საზ.; **ალ. ძაძამიასთან**—რკინის გზის სახელოსნოში და კერძო აგენტებთან. **თელავში—ნ. გოგოლაძესთან**—წ.-კ. გამ. საზ. მაღაზ.; **თიონეთში—ი. რიბალაშვილთან**—აფთიაქში; **გორში—თამ. მაკალატიასთან; ჩოხატაურში**—აფთ. **ცინცაძესთან; პეტროგრადში—სტუდ. ცირგილაძესთან; ხარკოვში—სტუდ. ალ. გრიგოლიასთან; დორპატში—სტუდ. გრ. ხერხეულიძესთან; მოსკოვში—სტუდ. ხაჩიძესთან** და სხვა დაბა-ქალაქებში.

მისი იმპერატორეგის დიდებულეგის ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ტფილისის საწყობის კომიტეტი.

რომელსაც **მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრის მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული** თავმჯდომარეობს, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი დიდებულების საწყობი **გადავიდა** გრიბოედოვის ქუჩიდან, გოლოვინის პროსპექტზე, სახ. № 8.

საწყობი ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას ფულით, მასალებით, საცვლებით, საობილობლებით, მედიკამენტებით, ჭრილობების შესახვევ მასალებით და სანოვაგით (ჩაი, შაქარი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო ტ სხ).

ვისაც ჰსურს უფასოდ მუშაობა საცვლებისა და სხვა საგნების დასამზადებლად, უნდა გამოცხადდეს საწყობში დღისით, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 11 ს.-დან 6 საათამდე.

ამავე ორეს [illegible] მასალას შინ სამუშაოდ.

თანხისა და საქონლის რაოდენობის სიმცირისა ნურავის მოერიდება. ყოველი შემოწირულება უღრმესის მადლობით მიიღება.

საწყობის ტელეფონი. № 18—85.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—4

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 9 მარტი. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. მთელს ფრონტზე მთელი რიგი ბრძოლა ხდება. რიგის რაიონში სოფ. პლავანთან და კუნძულ დალენის სამხრეთით რუსის ჯარები შეეჯახნენ გერმანელთა ძლიერს რაზმებს. იაკობშტატის ნაწილში რუსებმა ბრძოლით აიღეს ერთი სოფელი და ავგუსტიჰოფის აღმოსავლეთით ერთი ტყის ნაწილი. აგრედვე ხელთ იგდეს მეორე ტყე ნოდუკერნეკისა და სოფელ დილენიკის შუა, ბუშჰოფის რაიონში, დვინსკთან გამაღებული საარტილერიო სროლაა. რუსთა არტილერიამ მარჯვედ დაუშინა მიუნცინის ჩრდილოეთ რაიონს, სადაც გერმანელები იყრიდნენ თავს. რუსებმა ჩაახშეს გერმანელთა ზარბაზნები და შემდეგ ბრძოლით აიღეს მათი თხრილების ერთი რიგი მიუნცინისა და სკლის ტბის ხაზზე. გერმანელები შეეცადნენ გაელაშქრათ ტვერჩეს სამხრეთით, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. ვილეიტის რაიონში მკაცრი ბრძოლა ვითარდება ქვეითი ჯარების შუა. გერმანელებს სასტიკი კონტრ-იერიშები მიაქვსთ დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად. ჩერნიატის რაიონში ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს რუსთა პოზიციებზე, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირებზე ბრძოლა რუსთა საკეთილოდ ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა მახრჩობელა გაზები გამოუშვეს და მძვინვარე ცეცხლი გაახილეს, რუსები მაინც თამამად ეკვეთნენ, სამი წყება მავთულისა გაარღვიეს და ხელთ იგდეს მათი თხრილების სამი რიგი. მათი კონტრ-იერიშებიც მოგერიებულ იქმნა. რუსებმა მოიხმარეს მახრჩობელა და მოშხამული გაზები. რუსები დავლასა თელიან. ჯერჯერობით დათვლილია 17 ოფიცერი და ათასზე მეტი ჯარისკაცი, 12 ტყვიის მფრქვეველი, პროჟექტორი და ყუმბარების მფრქვეველი. სმორგონის რაიონში ძლიერი საარტილერიო სროლაა. დელიაჩისა და ჩარანოვიჩის რაიონში გერმანელთა ჰაეროპლანები გამოჩნდნენ. მოსკოვ-ბრესტის შარა გზაზე და სოფელ ტალეხენის რაიონში მკვირცხლი სროლაა. კოლკის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსთა მზვერავებმა ხელთ იგდეს მტრის სადარაჯოები. დამატებით ცნობების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიხალჩესთან 2 ზარბაზნის გარდა ხელთ იგდეს 6 ყუმბარის მფრქვეველი, თოფები ყუმბარები და 106 ტყვე.

კავკასიის ასპარეზი. სპარსეთში ბრძოლით აიღეს ისპაჰანი. ქალაქის მცხოვრებნი გატანჯულნი იყვნენ გერმანელთა და მათ დაქირავებულებთაგან, ამიტომ რუსის მხედრობას აღფრთოვანებით შეეგებნენ.

—

პარიზი. სერბეთის ტახტის მემკვიდრის ჩამოსვლას საფრანგეთის პრესა მხურვალედ შეეგება. გაზეთი „ტანი“ სწერს: მოკავშირეებმა მიზნად დაისახეს სერბეთს უკან დაუბრუნონ დღეს წართმეული ტერიტორია. პარიზმა და საფრანგეთმა ეს აღთქმა მოიწონა და დაადასტურა. ტახტის მემკვიდრის აღექსანდრეს ჩასვლა რომში, პარიზში და ლონდონში და ის შეხვედრა რომელსაც მას ამ ქალაქებში გაუმართავენ, გავლენას იქონიებს ვენაზე, ბუდაპეშტზე და ბერლინზე. სერბეთის მიმართ თავ-თავის მთავრობის თანაგრძნობას აღძრავს და განამტკიცებს ის სიმპატია, რომელიც სერბეთისადმი ფრანგის, ინგლისელი და იტალიელი ხალხის გულში ღვივის. მოკავშირე სახელმწიფოთა ერთსულოვანი გარდაწყვეტილება: აღდგენა სერბეთის [illegible] მთლიანობისა თამ, რომელიც ეროვნული პრინციპის უარყოფაზედ არის დამყარებული. ეს გადაწყვეტილება ამავე დროს მახლობელ აღმოსავლეთში გერმანიზმის წინსვლის შეჩერებასა და შებორკვას მოასწავებსო“.

კოპენჰაგენი. 8 მარტი. „ნეიე ციურიხერ ცეიტუნგი“ რიოდე ჟანეიროდან იტყობინება, ბრაზილიის მთავრობამ გადასწყვიტა წარუდგინოს პარლამენტს კანონ-პროექტი რომ რეკვიზიცია მოახდინონ გერმანეთის იმ გემებისა, რომელიც ბრაზილიის ნავსადგურებში იმყოფება.

სალონიკი, 7 მარტი. გასულ კვირას ვარნიდან რუშჩუკში ჩამოვიდა გენერალური შტაბის 100 აფიცერი, რომელთა შორის 60 გერმანელი აფიცერია. ამათ დაწვრილებით დაათვალიერეს დობრუჯაში ბულგარეთის საზღვრის ყველა სტრატეგიური პუნქტი. ერთი თვის წინად ეს რაიონი დაათვალიერა მაკენზენმა და განკარგულება გასცა გაემაგრებინათ ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები. რაზგრადაში და შუმლაში სდგას გერმანელთა ერთი დივიზია. ბულგართა ორი კორპუსი განაწილებულია პლევნასა, ბელასა და შუმლას შორის. რუშჩუკის რაიონში სდგას 5000 ბულგარელი ჯარისკაცი, გენერალ კულავჩევის მეთაურობით.

პარიზი, 8 მარტი. დღის ოფიციალი ცნობა ბელგეთში გერმანელთა მზვერავი რაზმი ბოვინგის ჩრდილოეთით შემოიპარა, მაგრამ იმწამსვე უკუგდებულ იქმნა. შეპის ტყის სამხრეთით არგონებში, ფრანგების არტილერიამ მოქმედება გააძლიერა. მდ. მაასის დასაღელეთით ავოკურსა და მალანკურ შორის გამართულ ფრანგების ფრონტზე გერმანელებმა ღამის განმავლობაში ზედიზედ რამდენიმე იერიში მიიტანეს და ამავე დროს დიდი ყალიბის ზარბაზნებიდან განუწყვეტლივ ისროდნენ. ამ იერიშების დროს განსაკუთრებულ აპარატებიდან მოპირდაპირედან ჯარისკაცნი ერთმანეთს ასხამენ ცხელ სითხეს. მიუხედავათ დიდი ზარალისა, რომელიც ფრანგებთან ხელჩართულ ბრძოლის დროს მოუვიდათ, გერმანელებმა დაიჭირეს მალანკურის ტყის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ავოკურის ტყეში შესასვლელ გზას წარმოადგენს. უნაყოფოდ ჩაიარა გერმანელთა ყველა ცდამ რომ მელანკურის ტყიდან წინ წამოწეულიყვნენ.

პარიზი, 8 მარტი. საღამოს ოფიციალი ცნობა. არგონებში ხელით სასროლი ყუმბარებით იბრძოდენ. ოტშეოშესთან ფრანგების არტილერიამ გერმანელების სიმაგრეს ზარბაზნები დაუშინა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირას, მალანკურის რაიონში, ზარბაზნების მკაცრი სროლა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, სოფელ ენის და „304“ მაღლობის წინააღმდეგ. ფრანგების არტილერია მეტად ენერგიულად უპასუხებდა გერმანელებისას. მთელი დღის განმავლობაში გერმანელებს იერიშები არ უცდიათ. მაასის აღმოსავლეთით და ვევრში ჩვეულებრივი საარტილერიო სროლა იყო. ლოტარინგიაში ფრანგების არტილერია უშენდა გერმანელთა სიმაგრეებს ემბერმენილის ჩრდილო აღმოსავლეთით. ზემო ალზასში ფრანგების არტილერია ესროდა გერმანელებს, რომელნიც ნიდერლარგიდან სეპუას სამხრეთ აღმოსავლეთისკენ მიდიოდენ. ფრანგის ავიატორმა ძირს დასცა გერმანული ჰაეროპლანი, რომელიც დუომონის რაიონში ჩამოვარდა და ცეცხლის ალში გაეხვია.

ქურნალ-გაზეთებიდან

ახალი ზარბაზანი.

„Petit Journal“-ში მოთავსებული წერილი საფრანგეთის ახალ დიდი ყალიბის ზარბაზნის თაობაზე. ეს ზარბაზანი იწონს 1900 ფუთამდე, სიგრძე თითქმის 7 საჟენია. ამ ზარბაზნის თაობაზე კ. შუმსკი სწერს: გერმანელების 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები მორტირს უდრის, ავსტრიელების 42 სანტიმეტრიანი ზარბაზანი—გაუბიცას, ფრანგების ახალი გამოგონება-კი ნამდვილი ზარბაზანია. ზარბაზანი უფრო შორს მანძილზე სტყორცნის ყუმბარას, რადგანაც გრძელი ტუჩი აქვს და წამმასზე. ასეთი ზარბაზნის ნაკლი მხოლოდ ის არის რომ მისი ყუმბარა ზღუდეს თავზე ვერ გადუვლის. ეს-კი სახეირო არ არის დღევანდელ სიმაგრეებთან საბრძოლველად.

თუ ფრანგების ახალი ზარბაზანი 16 დიუმიანი ყალიბისაა, მაშინ მისი წონა 9500 ფუთი იქნება.

ავსტრიის გაუბიცა მხოლოდ 8000 ფუთია. 16 დიუმიანი ყალიბის ზარბაზნის ყუმბარა 70 ფუთს იწონს, ხოლო თუ ზარბაზანი 20 დიუმიან ყალიბისაა, მისი ყუმბარა 100 ფუთს იწონს. ასეთი ზარბაზნით ნასროლი ყუმბარა ერთ წამში 35 ვერსს გაივლის.

ინგლისელი მაიორი მაიტალენდ ედისონი სწერდა, შეიძლება ისეთი ზარბაზნის გაკეთება, რომლის ყუმბარაც 70 ვერსზე წავა. ამ შემთხვევაში ზარბაზანი 20-დიუმიანი ყალიბისა უნდა იყოს, მისი ყუმბარა წამში 35 ვერსს გაივლიდა, ყუმბარის წონა კი 100 ფუთი იქნებოდა. ასეთი ზარბაზნის ყუმბარა რომ ერთს წამში 48 ვერსს გაივლიდეს და მისი ყუმბარა 100 ფუთს უდრიდეს, მაშინ ეს ყუმბარა 175 ვერსზე დაჰკრავდა.

გერმანელებს უკვე აქვთ კრუპის ქარხანაში დამზადებული ზარბაზნები, რომლის ყუმბარაც 35 ვერსზე მიდისო,—სწერდა იტალიის საზღვაო ჟურნალი. ასეთს გაუმჯობესებას 15 წლის შრომით მიაღწიეს.

რუსოფილების გასამართლებაზე.

მესამე და მეოთხე პროცესი, რომელიც რუსოფილების საქმეს იძიებს, სავსებით მოუნდა მოწმების გამოკითხვას. ჩვენებათა შორის ყველაზედ საინტერესოა მაკედონელ რევოლიუციონერ ხრისტოვის ჩვენება რომელიც ეხება და ახასიათებს ბრალდებულ სელიანოვს; ხრისტოვი აჩვენებს: „მე ვიცნობდი სელიანოვს, როგორც კარგ მაკედონელ პატრიოტს; მაკედონიაში მისი მოღვაწეობის შესახებ საუკეთესო მოგონება მაქვს. მაკედონიაში იგი იყო ჩვენი ორგანიზაციის მეთაური და მინდობილი ჰქონდა საბერძნეთში იარაღის ყიდვა და შეძენა. მე ვერ წარმოვიდგენ, რომ სელიანოვს ემოქმედნა იმ ბულგარეთის წინააღმდეგ, რომელსაც შესწირა მთელი თვისი სიცოცხლეო“.

გერმანეთის ფინანსთა მინისტრის სიტყვა.

გერმანეთის ფინანსთა მინისტრმა პელფერიხმა რეისტაგში, სხვათა შორის, განაცხადა: წელს სხვა და სხვა სამხედრო დახმარებათა და ვალის სარგებელი მოითხოვს 2,300 მილიონ მარკას, შარშანდელზე ერთიორად მეტს.

ბეთმან ჰოლვეგი და ჟერარდი

ბეთმან ჰოლვეგს საუბარი ჰქონია ამერიკის ელჩთან ბ-ნ ჟერარდთან, რომლის დროსაც გაკვრით სიტყვა ჩამოუგდია ზავის პირობებზედაც. გერმანეთის იმპერიის კანცლერი პირობებშორის ბელგეთის განთავისუფლებას ასახელებს და მოითხოვს საფრანგეთისაგან სამხედრო კონტრიბუციას.

გემის დაღუპვა.

ამსტერდამიდან ბრაზილიისაკენ მიმავალი ჰოლანდიის გემი „Tubantia“ ჩრდილოეთის ზღვაში დაიღუპა. ზედ ყოფილა დიდძალი მგზავრი და 300 გემზე მოსამსახურე.

ოსმალეთში.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტი სტამბოლში საგანგებო ყრილობას იწვევს სასულიერო წოდებისას. ყრილობას უნდა დაადგენინონ, რომ ოსმალეთის ეხლანდელი ტახტის მემკვიდრე ვაჰიდ-ედდინი გადააყენონ და მის ნაცვლად დანიშნონ იუსუფ-იზედინის შვილი პრინცი აბდულ-მეჯიდი, რომელიც გერმანელების დიდი მომხრეა.

სტამბოლიდან სომხეთისაკენ ჯარის გამოგზავნა გადასწყვიტეს. გერმანელები და ბულგარელები ურჩევენ ოსმალებს, თქვენი ჯარი იქ გაგზავნეთ, ხოლო ბოსფორსა და დარდანელს ჩვენ დავიცავთო. ენვერ-ფაშაც ამ აზრის მომხრეა.

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი წინააღმდეგია ამისი და თავის აზრს იმით ასაბუთებენ, რომ თუნდაც 12 ახალი დივიზია გავგზავნოთ სომხეთის ასპარეზისაკენ, რუსეთის ჯარი იმასაც შეაჩერებსო.

ვერდენთან

„Petit journal“-ის სიტყვით, გერმანელებს ვერდენთან, სხვათა შორის ჰყავთ, თურმე ბრანდენბურგის მე-3 კორპუსი და სტრასბურგის მე-15 კორპუსი.

დობრუჯთან

გაზ. „Dreptatea“-ს ცნობით, ბულგარისა და სასროლ და ჭრილობის შესახვევ მასალისათვის მოუყრიათ თავი.

სპარსეთში

ქირმანში გერმანელების მომხრეებმა და 60 ავსტრიელმა გაქცეულმა ტყვემ ხელში ჩაიგდეს ტყვია-წამლის საწყობი და ტელეგრაფი.

ქირმანის გუბერნატორი იძულებული გახდა ქირმანიდან გაქცეულიყო.

გაგრატის ტაძარი

(სტუმრის შენიშვნები)

არიან საქმენი და საგნები რომელთ შესახებ ფიქრი, წერა და ლაპარაკი კაცს არასოდეს არ მოჰბეზრდება.

ამგვარ საგანთა და საქმეთა რიცხვს ეკუთნის ბაგრატის ტაძარი და საქმენი იმ დიდებულის ეპოქისა ჩვენი წარსულიდან რომელთანაც მჭიდროდ შეკავშირებულია ამ ტაძრის აგება და გამშვენება.

მეათე საუკუნის მიწურული და მეთერთმეტე საუკუნის განთიადი ანუ ბაგრატ მე-III-ის მეფობა—ეს ხომ სრულიად საქართველოს შეერთებისა, გამტკიცებისა და აყვავების ბრწყინვალე განთიადი იყო!*)

მეთერთმეტე საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედი ანუ ბაგრატ მე-IV-ის მეფობა—ეს ხომ ჩვენი ეროვნული ეკლესიის უმაღლესად აყვავებისა და სრულად განთავისუფლების ხანა იყო!**)

*) როგორც მკითხველს უეჭველია მოეხსენება, აფხაზეთის უკანასკნელ მეფეთა ერთადერთი მემკვიდრე ბაგრატ მე-III-ე (980—1014), რომელიც იმავე დროს ტაო-კლარჯეთისა და მთელის სამხრეთის საქართველოს მეფე-მფლობელთა პირდაპირი მემკვიდრე იყო, პირველი შემაერთებელი იყო საქართველოს ყველა ნაწილებისა შავი ზღვიდან მტკვარ-არაზნის შესართავამდე, გარდა ქალაქ თფილისისა და მისი ახლომახლო მიდამოსი რომელიც არაბთა ამირას ხელში იყო.

**) როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ეკლესიამ სრული დამოუკიდებლობა და ავტოკეფალობა ბაგრატ მე-IV-ის მეფობაში (1027—1072) მოიპოვა, სახელდობრ ანტიოქიის პატრიარქის პეტრე მე-III-ის დროს (1053—1056), როგორც მოწმობს ანტიოქიისავე პატრიარქი და ცნობილი კანონისტი ვალსამონი, თანამედროვე დიდებულის მეფის თამარისა.

გრძოლის ველზე

რუსეთის მთავარ შტაბის ოფიციალი მოხსენება სიურპრიზისას არას შეიცავს თუ დიდი ხნის დუმილის შემდეგ ბრძოლის პრელიუდიად დიდი ზარბაზნები ახმაურდა. ეს გაზაფხულის კამპანიის დასაწყისია. მთელი მომავალი დამოკიდებულია იმაზე თუ ვინ ჩაიგდებს ხელში ბრძოლის ინიციატივას, როლები შეიცვლება თუ ისევ გერმანელები გახდებიან ასპარეზთა ამორჩევის მბრძანებელნი და ხელმძღვანელნი.

ბრძოლამ რომ სერიოზული სახე მიიღო აქ და პოზიციურის ჩარჩოებიდან გამოვიდა, მარტო ერთი ნაღმების აფეთქებით აღარ კმაყოფილდებიან, სჩანს ცხადი ფაქტებიდან, რომელიც დღევანდელ ბილიუტენში უხვადაა გაბნეული განსაკუთრებით ჩრდილოეთ ასპარეზზე, სადაც დიდი ხნის ნაცნობი პუნქტებია დასახელებული, როგორც რიგის რაიონი, იგივე დვინსკი, იაკობშტატი და სხვა.

გაზაფხულის კამპანიას რო კარგი პირი უჩანს და რუსეთისთვის საიმედოა ეს იქიდანაც სჩანს, რომ ბრძოლას ახლა რუსები იწყებენ და კარგათაც მიჰყავთ. რა თქმა უნდა, წინასწარი სიმთვრალე და გამარჯვების ძახილი ნაადრევი იქნება, მაგრამ ტყვეთა რიცხვი, საგულისხმიერო პოზიციების აღება, რუს ჯართა ენერგიული ამოქმედება ნიშნავს. რომ ახლა პასიობას აღარ ეძლევა რუსეთი და შესაძლებელია ინიციატივის ჩაგდებაც მოახერხოს საბოლოოდ. ეს ასედაც უნდა მოხდეს, რადგანაც რუსეთს უკეთესი შემთხვევა აღარ მოეცემა. ვერდენით დაფიქრებული გერმანეთისთვის დიდი თავხედობა იქნება ეხლავე შეტევაზე გადასულიყო, როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი დასავლეთით თვითონვე წარმოაყენა და საუკეთესო ძალებსაც იქით ეწევა. მაშასადამე, ნაბიჯი საგაზაფხულო კამპანიისა რუსეთის მიერ უნდა იყოს გადადგმული, გერმანელთა კონტრიერიშები მხოლოდ ფართო დემონსტრაციებია ერთგვარ შიშის მისაცემად, ნამდვილად კი თავდაცვის ტაქტიკაზე გადასვლა.

რაც შეეხება ვერდენის ოპერაციას, იგი უკვე საკულმინაციო წერტილს აღწევს. პარიზიდან მოსული საღამოს ბილიუტენები გუშინდელ ცნობათა კომენტარიებია. ცენტრი სიმძიმისა, როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანელებმა მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელთ მთავარი იერიშები მოჰქონდათ კიუმიესიზე და მორტომზე („mort-homme“), რომელიც მაასის ნაპირებიდან 3—3 ნახ. კილომეტრითაა დაშორებული. გერმანელებმა აქ იმიტომ გადმოიტანეს ბრძოლის სიმძიმე, რომ სახელდობრ ის მწვერვალები შეადგენენ ტაქტიკურს მასალებს ფრანგთა მოწინავე პოზიციების გასარღვევად, რომელნიც იფარავენ ვერდენს ჩრდილო-დასავლეთით. აი, ამით აიხსნება გერმანელთა ასეთი დაჟინებული იერიშები, არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან და ჯარს ჯარზე ჰგზავნიან მიზნის მისაღწევად.

რომ გამარჯვება უზრუნველ ჰყონ და მსხვერპლიც შედარებით ნაკლები იყოს გერმანელთ გეგმა შესცვალეს და ცოტა დაშორდნენ ბრძოლის წერტილს. მძიმე ზარბაზნები მათ ავოკურმალანკურის შუა გადაუტანიათ და აქედან დაუმიზნებიათ სოფელ ენისა და „304“ მაღლობისთვის. შეუწყვეტლივი სროლით მსხვილი ყალიბის ზარბაზნებიდან და ცხელი სითხის ფრქვევა-ქცევით გერმანელთ იერიშიერიშზე მიჰქონდათ, ვიდრე ფეხის მოსამაგრებელი ნიადაგი არ იგდეს ხელში, სახელდობრ მალანკურის ტყე ავოკურის ტყის შესავალით.

საზოგადოდ ფაქრი ვერდენის ოპერაციის დასასრულისა ჯერ კიდევ ნაადრევია. ორთავე მხარე გაჟინიანდა. ფრანგები აძლიერებენ ციხის გარნიზონს. რა თქმა უნდა, ციხის პირად ბედნიერებისთვის ეს კარგი რამაა, გენერალ პეტინს მეტი საშვალება მიეცემა სასტიკ მტერს ღირსეული პასუხი მისცეს, მაგრამ ვაი თუ ჟოფრის განზრახვა პრესისა და საზოგადოებრივ მდგომარეობამ შესცვალა და რეზერვები შეირყა, რასაც ასე რიგად ეტრფოდნენ გერმანელები:

X.

თბილისი, 11 მარტი.

ბრძოლა ნაძირალებთან!

ჩვენს ცხოვრებაში ფეხს იკიდებს საშინელი სენი და ჩვენც მის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება გვმართებს. ქართულ საზოგადოებაში ამ უკანასკნელ წლებში ისეთი პირები გაჩნდნენ, რომლებსაც მუქარის და შიშის საშუალებით სხვისი ქონების მითვისება აქვთ მიზნად დასახული. ასეთი ამბები სხვაგან, სახელმწიფოებრივად უფრო მოწყობილ ქვეყნებშიაც ხდება ხოლმე, მაგრამ იქ მას მთავრობა და საზოგადოება შეთანხმებულად ებრძვიან, ამის გამო ასეთი ბოროტ-მოქმედება იქ ფეხს ვერ იკიდებს. საზოგადოების ყოველი წევრი მტკიცედ არის გამსჭვალული იმ აზრით, რომ შანტაჟისტი, ქურდი თუ აშკარა მძარცველი მხოლოდ თითეულ პიროვნებას კი არ იმსხვერპლებს, არამედ მთელ საზოგადოებრივი ცხოვრების დაშლისა და განადგურების საქმეს აწარმოებენ.

სამწუხაროდ, შანტაჟისა და ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ ჩვენში ვერც საფერ სიმტკიცეს ვერ იჩენს. ხშირად ასეთი მოვლენა ზოგიერთ უფლებით აღჭურვილ პიროვნებაში მფარველობასაც პოულობს და ამ სახით, მოქალაქეობრივი ცხოვრების დამშლელი და დამარღვეველი სენი ჩვენს ცხოვრებაში ფეხს იდგამს. ეს სამწუხარო მოვლენა კიდევ მით უფრო რთულდება, რომ შავბნელი ძალები თავის ბოროტ-მოქმედებას ერთგვარ იდეურ სამოსელში ჰხვევენ და თავის მსხვერპლს ხშირად ამა თუ იმ პოლიტიკურ ჯგუფისა, თუ პარტიის სახელით სთხოვენ ფულს. საზოგადოებასაც ხშირად სჯერა ეს და ბოროტმოქმედების გავრცელებას ეს გარემოება უთუოდ დიდად ხელს უწყობს. ყველა ქართველის მოვალეობაა საზოგადოებაში იმ შეგნების შეტანა და გამტკიცება, რომ ძარცვა-გლეჯა ბოროტმოქმედებაა, ბოროტმოქმედება მთელი ხალხის წინააღმდეგ და არც ერთი წესიერი სოციალ-პოლიტიკური მიმართულება ქონების მოპოვებას თუ სხვა რაიმე მიზნების განხორციელებას ძარცვა-გლეჯის და შანტაჟის საშუალებით არ შეეცდება. თუ კი სადმე მოიპოვება ისეთი ჯგუფი, რომელიც პოლიტიკას ეფარება და შანტაჟს კი ეწევა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ აქ პოლიტიკური მიმართულება კი არ არის, არამედ შანტაჟისტთა ბრბო და მასთან ყოველივე საშუალებით ბრძოლა საზოგადოების თითეული წევრის მოვალეობას შეადგენს.

ძველად სავაჭრო ქარავნების შარა გზაზედ დახვდომას და მათ გაძარცვას დიდებული რაინდებიც კი ეწეოდენ. გამეფებული იყო ტლანქი ძალა და ძარცვა-გლეჯას არავინ არ თაკილობდა. თუ კი ვინმეს ქონება მოეპოვებოდა, სადმე უნდა ჩაეფლა და ფარულად ესარგებლნა. ასეთს პირობებში ფართო ეკონომიური საქმიანობა ფეხს ვერ მოიდგამდა და თუ ვინმე მცირეოდენ ქონებას შეიძენდა, ვაჭრობას თუ სხვა ხელობას თავს ანებებდა და შეძენილი სიმდიდრის დარაჯობას შეუდგებოდა.

ჩვენს დროში სულ სხვა უფლებრივ საზოგადოებრივი წესებია განმტკიცებული. საზოგადოების ყოველი წევრი სახელმწიფოებრივ ძალას ექვემდებარება და თავის უფლებრივს ფარგალში კერძო პირთაგან ყოველგვარ ძალდატანებასა თუ შევიწროვებისაგან თავისუფალია. საზოგადოების ყოველი წევრის შრომა-გარჯა და კანონიერი გზით მოპოებული ქონების თავისუფლად მოხმარება სახელმწიფოს ძალით უზრუნველყოფილია. მხოლოდ ასეთს პირობებშია შესაძლებელი ეკონომიური საქმიანობის განვითარება და ვაჭრობა-მრეწველობის თუ მეურნეობის დაუსრულებელი ზრდა და გაძლიერება. თუ ძველი დრო მობრუნდება და საჭირო გახდა შეძენილი სიმდიდრის მიწაში მალვა. ყველა ის ეკონომიური საქმიანობა, რომლის შემწეობითაც ხალხი სიმდიდრეს ჰქმნის, უთუოდ შეფერხდება და შესაძლებელია სრულიადაც მოისპოს. შანტაჟ-ძარცვა-გლეჯის გავრცელება საზოგადოებაში ისეთს სუ[illegible] რომელიც შეუძლებლად ხდის ხალხის ეკონომიურ განვითარებას. მაშასადამე ეს მოვლენა ეროვნული ცხოვრების ძირითად საფუძველს არღვევს.

ამ საშინელ სენთან ფიცხელი ბრძოლა გვმართებს. ბრძოლა სასტიკი, ყოველგვარი საშუალებით. ამ საქმეში კი ფართო საზოგადოება უნდა ჩაერიოს, თორემ მარტო მთავრობა ვერას გახდება. უპირველესად საზოგადოება უნდა გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ჟანტაჟისტებისა თუ მძარცველების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება აძლიერებს და ავრცელებს ამ ბოროტმოქმედებას. თითეული პირი, რომელთაც ისინი მუქარას უთვლიან მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით ბოროტმოქმედთ მადას უცხოვლებენ და მათგან ახალ და ახალ მოთხოვნილებებს იწვევენ. ყოველგვარი დათმობა მათ ძალასა ჰმატებს და ყველა ის, ვინც მუქარას უშინდება, ამით ამ საშინელ ბოროტმოქმედებას როგორც პირადათ მის საზიანოდ, ისე მთელი საზოგადოების სავალალოდ, აძლიერებს და განამტკიცებს.

ჩვენმა საზოგადოებამ უფუოდ შესაფერი ზომები უნდა გამონახოს, რომ მოქალაქეობრივი ურთიერთობის უარმყოფელნ და დამრღვევი ინსტიტუტები აღმოფხვრას. ეხლა კი, ყველა ისინი, ვისაც ამ ბოროტებასთან ბრძოლა უხდება, სულიერის ძალით უნდა აღიჭურვონ, რომ სათანადო პასუხი გასცენ იმათ, ვინც ჩვენს ქვეყანაში ამ ბოროტებას ემსახურება.

ახალი ამბავი

სასახლეში.

✦ მეფის ნაცვალმა დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ და მის მეუღლე დიდ მთავარ მილიცა ნიკოლოზის ასულმა დაათვალიერეს სასანიტარო ვაგონი თბილისის სადგურზე მოსული ბრძოლის ველიდან.

—

კ. ჩხეიძის ავადმყოფობა. პეტროგრადი. კარლო ლოგინიდან ადგა. ის სავსებით განკურნების გზას ადგია. ექიმებმა მუშაობა აუკრძალეს.

ქართულ დაწესებულებებში.

✦ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოსთან შემდგარი საერობო ბიურო მუშაობას განაგრძობს, თუმცა ამ მუშაობის შესახებ დიდი საიდუმლოება ჰფარავს საზოგადოებას არა სმენია-რა, ბიურომ რამდენიმე მოხსენება განიხილა, მათ შორის გ. დ. ჟურულისა, შესახებ საერობო ბიუჯეტისა აღმოსავლეთ საქართველოში ზოგიერთ სხვა ერობათა ბიუჯეტთან შედარებით.

✦ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მოუვიდა თბილისის საგუბერნიო გამგეობისაგან ტალონი 1,200 მანეთისა, რომელიც გადიდებულ იყო გამგეობის მიერ გასულ ოებერვალში. ეს ფული უნდა მეახმაროს სამეურნეო საზოგადოებამ საკადრო-სახელმძღვანელო ვენახებისა, ხეხილის ბაღებისა, პლანტაციებისა და სხვ. მოწყობას.

✦ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას მოუვიდა ჩრდილო კავკასიიდან 27 ვაგონი ფქვილი. ის სოფლები, რომელთაც ბე დასტოვეს, ადრე უნდა გამოცხადდნენ ფქვილის მისაღებად, თორემ იმდენი აურებელი მთხოვნელია, რომ ფქვილი გაიყიდება.

ეროგა და ქალაქთა კავშირი.

✦ გადმოხვეწილთა საქმის მთავარმა რწმუნებულმა წინადადება მისცა ქალაქთა კავშირის განყოფილებას ყოველ კვირაში წარუდგინოს მას ცნობები შემოხიზნულ ავადმყოფთა შესახებ, რომელნიც კავშირის ლაზარეთებში იმყოფებიან. კავშირის ერევნის კომიტეტს წინადადება მისცა იმავე რწმუნებულმა, რომ სულით ავადმყოფი გადმოხვეწილნი მოათავსოს კავშირის ლაზარეთებში, თუ-კი თავისუფალი ადგილი იქნება. ამ გვარ ავადმყოფებზე გაწეული ხარჯი დაიფარება შემოხიზნულთათვის გადადებილ საგანგებო თანხიდან. კავშირის მთავარმა კომიტეტმა კავკასიის განყოფილებას მოსთხოვა სია კანდიდატებისა, რომელნიც სანიტარებად უნდა იქმნან გაწვეულები.

✦ ჯარისკაცთა ოჯახების დამხმარე საქალაქო კომისიის თავმჯდომარე მ. ნ. ათაბეგოვის განკარგულებით დახმარებას მიიღებენ ჯარის-კაცთა ოჯახები: გუშინ 10 მარტს, ნაძალადევ-დიდუბეში მცხოვრებნი, სუნჯენის ქუჩაზე, № 10; ავლაბარსა და ნავთლულში მცხოვრებნი—დღეს 11 მარტს, მარტყოფის ქუჩაზე, № 5; დანარჩენ უბნის მცხოვრებთ შემწეობა მიეცემათ 12 მარტიდან ჩვეულებრივ წესით და წინანდელ ბინაზე.

✦ თბილისის გუბერნატორმა პოლკოვნიკმა მანდრიკამ გადასცა ქალაქთა კავშირის განყოფილებას 30,000 მანეთი, გადმოხვეწილთა სასარგებლოდ.

✦ კავკასიის საინტენდანტო გამგეობამ აცნობა ქალაქთა კავშირს რომ თანახმად მიწად მოქმედების დეპარტამენტის რწმუნებულის მიერ მიღებულ დეპეშისა მსხვილ ფეხ საქონლის გაყვანა თერგის ოლქიდან მოუხერხებლად მიასნია.

✦ ქალაქთა კავშირის მდივანი ს. ა. დანდუროვი დეპეშით ატყობინებს პეტროგრადიდან ქალაქთა კავშირს რომ კავშირის ხარჯთ-აღრიცხვა 2 მილიონ მანეთამდე დამტკიცდა, ხოლო იმ თანხაზე რომელიც ქალაქის კავშირი თხოულობდა სპარსეთის ოლქის მუშების შესანახად უარი ეთქო.

✦ კავშირმა დაადგინა ერევნიდან და მის მიდამოებიდან სულით ავადმყოფ-ლტოლვილნი სხვა და სხვა ქალაქების საფსიხიატრო საავადმყოფოებში მოათავსოს კავშირის ხარჯით.

კრ.ოპ. და მთხ. საზოგადოებანი.

✦ სოფ. ალვანში იხსნება მომხმარებელი საზოგადოება. წესდება წარდგენილია გუბერნატორთან დასამტკიცებლად. თუშები დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ საქმის მოწყობას.

2. ეზოსათვის ყოველი მხრით მაღალი ქვის კედელი შემოუვლიათ.

3. ამასთანავე თითქმის მთელი ეზოს ნიადაგი ქვებისა და ღორღებისგან გაუსუფთავებიათ, მოუვაკებიათ და ტაძრის წინ, დასავლეთით, პატარა ყვავილების ბაღი გაუშენებიათ (უეჭველია გაზაფხულზე მის ნახვას არა ემჯობინება რა).

4. რაც ეზოს გადათხრის დროს წარწერიანი ან ჩუქურთმიანი ქვა აღმოჩენილა, თვით ტაძარში შეუტანიათ და სხვა ქვებთან ერთად დაუწყვიათ.

5. შიგნით ტაძარი ნამდვილ მუზეუმად უქცევიათ: მთელი მისი იატაკი მცენარეებისაგან და უთავბოლოდ დაყრილი ქვებისაგან გაუთავისუფლებიათ, მოუწმენდიათ, ხოლო საყურადღებო ჩუქურთმიანი ქვები იქით-აქეთ კუთხებში და სხვა დიდრონ ქვებთან (სვეტის თავებთან) ერთად დაულაგებიათ.

6. შუა ტაძრის აღმოსავლეთის ნაწილში, ტრაპეზის წინ, საკმაოდ ვრცელი მოზაიკის იატაკი აღმოჩენილა რომელიც ოდესღაც ვისღაც მადლიან ხელს დუღაბით გადაუფენია და ამ გზით დაღუპვისაგან გადაურჩენია; ტაძრის დღევანდელ მომვლელებს ეს შეუნიშნავთ და ამ დუღაბისთვის ჯერჯერობით ხელი აღარ უხლიათ; განზრახვა აქვთ, როცა საკმაო სახსარს იშოვნიან, ეს ფრიად საყურადღებო იატაკი დუღაბისაგან გაათავისუფლონ და სამაგიეროდ ზემოდან შესაფერისი საფარი გაუკეთონ რომელიც მნახველს არ დაუშლიდეს იატაკის ნახვასა და მისი სიმშვენიერით დატკბობას.

7. ალბად ამ იატაკს უნდა გულისხმობდეს ცნობილი ისტორიული უეჭველია არაბულ ციფრიანი დათარიღებული წარწერა რომელიც ტაძრის ჩრდილოეთის კედლის ერთერთ უუდიდეს ქვაზეა, ჩრდილოეთის მხრით, ამოკრილი და რომელიც ასე იკითხება (სასვენებელი ნიშნები ჩვენია):

„ქ. ჯ მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო! უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კუროპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მათით დედით, დედოფლით და ძით მათით. ამინ“. ხოლო ცოტა იქით (ფანჯრის მეორე მხრით, იმავე ქვაზე): „ქ. **ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223**“, ე. ი. 1003 წელი *).

*) იხ. ჩვენი ბროშიურა: „ბაგრატის ტაძარი“. თბილისი. 1911 წ., გვ. 6. ვსარგებლობთ შემთხვევით და ვასწორებთ ჩვენს ურიებლიეთს შეცდომას, რომელიც იმ წიგნაკში მოგვივიდა, რასაკვირველია სხვა მკლევართა მიხედვით: სახელდობრ იქ ამ ტაძრის **დამთავრება** ბაგრატ მე-IV-ის მეფობაში გვაქვს გადატანილი, რაიც დღეს, მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული მოზაიკის იატაკი აღმოჩნდა, ყოვლად შეუწყნარებელ აზრად უნდა ჩაითვალოს, რადგან ვის არ მოეხსენება რომ არცერთი ხუროთმოძღვარი იატაკს (და მასაც მოზაიკის იატაკს) არ დააგებს სანამ მთელი შენობა მოთავებული არ არის; ამიტომ აშკარაა: რაკი 1003 იატაკის დაგება და გამტკიცება მოუთავებიათ, ტაძარი ამ წელს უკვე დამთავრებული ყოფილა; და ამის გამო, თუ ბაგრატ მეოთხეს ამ ტაძრის წინაშე რაიმე ღვაწლი მიუძღვის, შეუძლებელია ეს ღვაწლი თვით ტაძრის შენებას შეეხებოდეს,

მოთავეებმა უკვე იყიდეს რამდენიმე საქონელი თბილისში და ალვანს გაგზავნეს.

მთავრობის დაწესებულებებში.

✦ საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო. საზოგადოების საბჭოს კრებაზე რომელიც თ-დ მ. ა. სუმბათაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა პირველად, განახლების შემდეგ დადგენილ იქმნა: ვინიცობაა საბჭოს წევრნი არ დაესწრონენ კრებას, მოწვეულ იქმნენ საზოგადოების წევრნი: ვ. მ. სავიჩი, ნ. ბ. რჟანოვი და ლ. ტ. ბუდზინოვ-ბუდზინსკი. ამავე კრებაზე დადგენილ იქმნეს დაევალოთ სხვა და სხვა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა ორგანოებს წარმოადგინონ თავიანთი შესავალ-გასავლის ანგარიში მიმდინარე წლისა.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარი უფროსის გენ-ლ. ვოლსკის განკარგულებით კავკასიის ოლქში ახლად გაყვანილ რკინის გზების მსახურთ ნება არა აქვთ სამსახურის თავის დანებებისა საომანადო მთავრობის ნებადაურთველად. დამნაშავენი 3 თვის ციხით ან 500 მანეთ ჯარიმით იქმნებიან დასჯილნი, თანახმად საომარ დროს გამოცემულ კანონისა.

✦ თბ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა პირველი საგრონომო თათბირი სათეს ადგილების შემცირების გამო და მათ გაფართოების საჭირო ზომების გამოსაძებნათ. კრებაზე გამოირკვა, რომ საზამთრო სათესი ადგილები 30% შემცირდა, ზოგან კი 50 და 60%-ით. ამის მიზეზად დაასახელეს მშრომელ ხელის შემცირება, მომუშავე საქონლის რეკვიზიცია და კერძოდ სათესლე მასალის შემოკლება. კრებამ დაადგინა: 1) მიიღოს სწრაფი ზომები უკვე შეძენილ სათესლე მასალის დროთი შემოტანის შესახებ 2) მცხოვრებთა უზრუნველყოფა სასოფლო სამეურნეო იარაღით, 3) მოწვეულ იქმნენ მინდვრის სამუშეგარზე სპარსეთიდან მუშები, ლტოლვილნი და პატიმრები, 4) ეთხოვოს მიწად მოქმედების დეპარტამენტს კანაფის მიღება ყუბანის ოლქიდან ხელაურების მაგიერ.

✦ პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა ბოტანიკურ ბაღის დირექტორი ა. ს. როლლოვი.

✦ კავკასიის საბეითლო საზოგადოების გამგეობამ განიხილა წესდება „რუსეთის საბეითლო საამხანაგო დახმარების საზოგადოების“-ა, რომელიც მოსკოვის ბეითალთა საზოგადოებამ გამოუგზავნა განსახილველად. გამგეობამ მოიწონა ეს წესდება და დაადგინა შეუერთდეს ამ ახალ ორგანიზაციას.

ქალაქის გამგეობაში.

✦ თბილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულო თანახმად უმაღლესი ბრძანებისა თეთრ ბილეთიანების გაწვევის შესახებ გამოამჟღავნებს ამ დღეებში შემდეგ წესებს მათ ხელახლა შემოწმების შესახებ: ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულოში პირველ ხანად უნდა გამოცხადნენ ყველა ის თეთრ-ბილეთიანნი რომელნიც ქ. თბილისის 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 სა-პოლიციო უბნებში სცხოვრობენ, გარდა კაზაკთა წოდებისა, ხოლო მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე უბანში მცხოვრებნი უნდა გამოცხადნენ სამაზრო სამხედრო ბეგრის საკრებულოში (მიხეილის პროს. № 171). შესამოწმებლად იწვევენ იმ პირთ ვინც 1888 წლის 1 ოქტომბერსა და 1895 წლის 31 დეკემბერს შუაა დაბადებული გაწვეულნი იყვნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად კენჭით ან თავის ნებით (вольноопредѣляющимися) 1910—1916 წ.წ. და რომელნიც 1915 წლისს 1 მარიამობისთვის სამხედრო ბეგრის საკრებულოს მიერ უვარგისად იქმნენ ცნობილნი. აგრეთვე უნდა გამოცხადნენ სამოქალაქო სამედიცინო და საბეითლო ექიმები და ფარმაცევტები, რომელთაც ეს ხარისხი მიიღეს შემდეგ მათი შემოწმებისა სამხედრო ბეგრის საკრებულოში და უვარგისად ცნობისა. ეს საბუთები უნდა წარედგინოს 4 აპრილამდე.

✦ საქალაქო ლომბარდმა უკვე გაასესხა 300.000 მანეთი, რომლის ბანკიდან გამოტანის ნებართვა ჰქონდა მას მიცემული. ამიტომ ქალაქის გამგეობა აპირებს სთხოვოს საბჭოს დაადასტუროს თავისი წარსული წლის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ლომბარდმა, ქალაქის თვითმართველობის თავდებობით, კიდევ აიღოს ბანკისაგან სესხად 200.000 მანეთი. ლომბარდი ბანკს აძლევს ფულის სარგებელში 7%-ს, ხოლო თითონ ღებულობს მოგირავნეთაგან 11%-ს.

სასურსათო საქმე.

✦ ფოთის ქალაქის მოურავმა ბ-მნა ტყემალაძემ აცნობა თბ. გამგეობის წევრს მ. ა. ჯაბარს, რომ ამ ჟამად ფოთში შეიძლება შეძენა შემდეგ საწოვაგისა 231 ფუთ შაქრისა, 88 ათას ფუთ ფქვილისა და 8 ათასი ფუთი მაკარონისა. ფოთის სადგურის უფროსის ცნობით არც ერთი მაგალითი არ უფიქრია რომ საქონლის დატვირთვაზე ვაგონით, უარი ვისთვისმე ეთქოს. მაშასადამე მიზეზი ტვირთის გაუგზავნელობისა სხვაგან არს დაფარული.

✦ ქალაქის გამგეობის მიერ გამოწერილი კარტოფილი ნავთლუღში უკვე მოვიდა ხოლო ნავთლუღიდან თბილისში ორის დღის განმავლობაში ჯერაც ვერ შემოსულა.

ქალაქის არჩევნები.

✦ ტფილისის „კრუჟოკში“ მომხდარ ეგრედ წოდებულ პროგრესისტების კრებაზე კანდიდატთა სიის შესადგენად არჩეულ იქმნა ბიურო, რომელშიაც შედიან: ნ. მ. ტუბეროვიჩი, ი. ე. გამყრელიძე, ა. ს. კალანდაძე, დ. გ. გაბაშვილი, დ. ს. გურგენოვი, ა. ა. ისარლოვი, ა. მ. ახნაზაროვი, ი. ვ. ზედგინიძე, ი. მ. შერმეტევი, ნ. ი. ლგოტაკი, ა. გ. სარქისოვი, დავიდოვსკი, ნ. ა. ციგანკოვი, ე. ზ. პანკრატოვ, პ. პ. ტერ-ოგანესოვი, ბორცოვი, ვ. მ. აფრიკიანი, სარაჯიშვილი, გ. ვ. ზუბალიშვილი, მ. ვ. ფორაქიშვილი, ვ. ი. იავორსკი, ჯანდიერი, გ. ი. ალიხანოვი ი. მ. და ხოროვიჩი ი. ფ. შემდეგი კრება დანიშნულია 13 მარტს.

✦ ამომრჩეველთა მეექვსე შეერთებული ჯგუფი, რომელსაც ექიმი ავთანდილოვი მეთაურობს ხმოსნებად შემდეგ პირებს ასახელებს: ალექსი მესხიშვილს შ. ა., ამირაღოვს ბ. ი., ბალაგიანს ს. ა., ბარტს გ. ი., ბელიაევს მ. მ., კაზაკოვს ა. ი., ყორღანოვს დ. ი., ლუნკევიჩს მ. ვ., მანუელიანცს ს. პ., მელიქ-კირაკოზოვს გ. პ., მინკევიჩს ი. ი., მიტკევიჩს ა. ი., სულხანოვს ს. ხ., ხატისოვს გ. ი., ხუნდაძეს ს. ფ., შადინოვს გ. გ., იარალოვს გ. ზ., და ენფიანჯიანცს ა. ა.

✦ ამომრჩეველთა მესამე უბანში იგივე ჯგუფი ასახელებს ხმოსნებად: ალიხანოვს ი. ს., არუთინოვს ვ. ლ., ათაბეგოვს მ. ნ., ჯაბარს მ. ა., ჯანაგოვს ე. ფ., დოლუხანოვს ი. მ., ევანგულოვს ლ. გ., იოანისიანს რ. ა., ქანანოვს მ. ზ., მარტიროსიანს მ. ნ., ნესმაშნის ი. ს., აბდულ-კაფარ-სამედოვს, თამამშევს გ. ზ. და ხატისოვს ა. ი.

✦ მეოთხე საარჩევნო უბნის კრებაზე ავლაბარში, რომელიც ექიმ ი. ს. იგიტიანცის თავმჯდომარეობით მოხდა დამტკიცდა შემდეგი სია ხმოსანთა: არღუთინსკი-დოლგორუკი ა. მ. არუთუნიანი ა. ჯ., გალსტიანი ს. ა., ზარგარიანცი მ. ნ. ზორიანი ზ. ნ. ყაჩაზნუნი რ. ი. მაზმანოვი ს. გ. ტერტეროვი ა. მ. და ტიგრანოვი ლ. ფ.

✦ მეორე საარჩევნო უბანში შეერთებულმა ჯგუფმა შემდეგი სია შეადგინა: ავთანდილოვი მ. ზ., ალდადანოვი ა. ფ., ალხოვი ა. ფ. არუთინოვი ს. ს. გედევანიშვილი პ. დ. ვესელოვზოროვი მ. ნ. დოლუხანოვი პ. მ. ნებრინცევი მ. ნ. სვეშნიკოვი მ. ი. თამამშევი ი. ა., ტერ-ზახაროვი ვ. ო. თუმანოვი გ. მ. ხუნუნცი ი. ნ., წვეროვი ნ. ე. და ენფინჯიანცი ტ. ა.

✦ 9 მარტამდე ქალაქის გამგეობის საარჩევნო ნაწილს გაუცია შესასვლელი ბილეთები საარჩევნო კრებებზე პრველ ნაწილის ამომრჩევლებისათვის 31, მეორის—33, მესამის 33, მეოთხის—34, მეხუთის—20, მეექვსის—35 და მეშვიდე ნაწილის—13 ამომრჩევლისთვის. ყოველგვარ ცნობების მიცემა და ზედამხედველობა საკანდიდატო ბარათებზე საარჩევნო კომპანიაში დაეკისრა ქალაქის გამგეობის მიერ ს. ბ. იუზბაშევს ქალაქის გამგეობაში.

მაჰმადიანთა შორის.

ყარსიდან ატყობინებენ გაზ. „კასპი“-ს „ამ დღეებში ჩამოვიდა ოლთსა და არდაგანს გამგზავრებული ბაქოს მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე კანტემირი, რომელიც გადმოხიზნულთა დასათვალიერებლად იყო წასული. კანტემირს თან ახლდა ექიმი ალიევრდიბეგოვი, ავადმყოფ მაჰმადიანების საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. თავმჯდომარის თანაშემწე კანტემირი სთხოვს საზოგადოებას რომ რაც შეიძლება ჩქარა გაეგზავნოთ უმწეოდ დარჩენილ მაჰმადიანებს ფქვილი და სხვა სანოვაგე, თორემ ადვილი შესაძლებელია შიმშილით ამოსწყდნენო. ოთლიდან დეპეშით ატყობინებენ ყარსის სამხედრო გუბერნატორს და სთხოვენ აღმოუჩინოს დახმარება უბინადროდ დარჩენილ მაჰმადიანებს. მიიღეს თუ არა ეს ცნობა დაუყოვნებლივ კანტემირმა გაუგზავნა 900 ფუთი ფქვილი და გააყოლა თან ორი საზოგადოების თანამშრომელი.

რკინის გზებზე.

✦ პეტროვკა და თემირხანშურას შუა რკინის გზის ლიანდაგზე მიმოსვლა 3 მარტიდან დაიწყო.

✦ სარაყამიშ-აზრუმის რკინის გზისათვის მუშების საშოვნელად დუშეთისა და თელავის მაზრაში გაემგზავრენ გიორგი (იაგორ) გომელაური და გ. დავიდოვი. მათ განზრახვა აქვთ შეადგინონ სია იმ ფიოელ და ლურჯ ბილეთიან ჯარისკაცებისა, ვინც ამ რკინის გზაზე მუშებად ჩაეწერებიან ამათ ჯარში აღარ გაიწვევენ, ვიდრე ეს რკინის გზის მუშაობა არ დასრულდება.

✦ შაბათს, 12 მარტს, საღამოს 7 საათზე, ნაძალადევის თეატრში უნდა შესდგეს მე-7 საარჩევნო უბნის (ნაძალადევი და დიდუბე) ამომრჩეველთა კრება. კრებას თათბირზე ექნება ხმოსანთა არჩევნების შესახებ, უმთავრესად კი სახმოსნო კანდიდატთა სიის შედგენაზე.

✦ თბილისის გუბერნატორმა ნება დართო თბილისის ებრაელთა რაბინს ბ-ნ მარკუსს თავის ერთმორწმუნეთა შორის ფულები შეაგროვოს მომავალ აღდგომის დღესასწაულებზე ღარიბ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის.

✦ მეფის ნაცვლის კანცელარია მასალებს აგროვებს ამიერ კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ. საერობო მოღვაწეთა კრების მოწვევა განზრახულია არა უგვიანეს აპრილისა.

✦ ვ. ლუკოვსკიმ, ი. რჟონცმა, კ. სობოლევმა, ი. მბორისიდიმ, პ. შენგელიამ, გ. ბეჟანიშვილმა, ნ. ბუსურაშვილმა და ტ. ჯევადოვმა შუამდგომლობა აღძრეს თბილისის გუბერნატორის წინაშე ნება მისცეს მათ შეადგინონ პერიოდულ გამოცემათა გამყიდავი არტელი.

✦ სომეხთა კათალიკოსმა 10,000 მანეთი გადასცა იმ კომისიას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ოსმალეთის სომეხთა დაქცეულ ოჯახების აღდგენა.

✦ 9 მარტს კრება ჰქონდათ პირველ საარჩევნო უბნის რუს ამომრჩევლებს. კრებამ ითათბირა ხმოსანთა არჩევნების შესახებ და სია შეადგინა სახმოსნო კანდიდატებისა. ამ სიაში შეტანილი არინ: ბ-ნნი კეილი, ანტონოვი, მაროზოვი, რუსანოვი, მინიაევი, ტოროშჩინი, ვასილევი, მოხევიჩი და ლეონტიევი. ამ რიგად კრებამ 9 რუსი დაასახელა კანდიდატად; ასარჩევია სულ 12 ხმოსანი.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, სოხუმის ეპისკოპოზის განკარგულებით გალის (სამურზაყანო) სამრევლო სკოლაში ქართული ენის გაკვეთილებს ეთმობა მე-5 და მე-6 კვეთილები. ქართული ენის სწავლება ამ სკოლაში შემოღებულ იყო შარშან საქართველოს ექზარხოსის აწ პეტროგრადის მიტროპოლიტის პიტირიმის სურვილის თანახმად და ამ ენის მასწავლებელი გააწესა ჭ. შ. წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ეხლა წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა თავისი სკოლების მეთვალყურეს ბ-ნ გრ. ბურჭულაძეს გზავნის გალში საქმის მდგომარეობის ადგილობრივ გამოსარკვევად. ბ-ნი ბურჭულაძე აგრეთვე შეივლის გუდაუთში, სადაც აღნიშნულ საზოგადოების განყოფილება სკოლის დაარსებას აპირებს.

✦ გუშინ, 10 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 100, ხუნაგიანი 29, ყვავილიანი 2, სახადიანი 98, საოფლიანი 15 და მუცელაიანი 1 კაცი.

✦ ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ დაადგინა, რომ კავშირის ერევნის კომიტეტს ნაცვლად 3000 მანეთისა თვიურად აძლიოს 5000 მანეთი საავადმყოფოს შესანახად. ეს დადგენილება, სხვათა შორის, იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ ხსენებულ საავადმყოფოს მრავალი სულით ავადმყოფი აწყდება თურმე.

✦ გადმოხვეწილთა საქმეების მთავარმა გამგემ მიმდინარე მარტში სახარჯავად 30,000 მანეთი გადასცა ქალაქის კომისიას, რომელსაც ნაკისრები აქვს გადმოხვეწილთა სვე-ბედზე მზრუნველობა.

✦ 9 მარტს თბილისში შემოიტანეს: ფქვილი 4 ვაგ., ქერი 1 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., მარილი 1 ვაგ., შეშა 42 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 1 ვაგ., კირი 1 ვაგონი.

✦ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ბრძანება მოახდინა გუბერნატორებისა და ოლქის უფროსის სახელზე რათა მიწვეულ იქმნენ მინდვრის სამუშაოდ მცხოვრებნი და აგრეთვე საკოოპერაციო დაწესებულებანი.

✦ უმაღლესის უქაზით სახელმწიფო საბჭოსადმი მიმართულით 8 მარტის თარიღით, სახელმ. საბჭოს წევრი გენერალ ადიუტანტი, კავალერიის გენერალი სუხომლინოვი, თანამდებობიდან უმოწყალესად დათხოვნილია თანახმად მისივე თხოვნისა.

დაბა-ქალაქებში.

✦ 5 მარტს ბაქოში გარდაიცვალა ადგილობრივი სცენის მოყვარე ალ. პავლიაშვილი. განსვენებული ერთგულად ემსახურებოდა ბაქოს ქართულ სცენას.

✦ ამ თვეში განზრახულია ბაქოში დიდი აკაკის საღამო. მოწვეულნი არიან თბილისიდან თვალსაჩინო ლექტორები და სხვა.

✦ 6 მარტს დრამატ. სექციამ თავის ათი წლის არსებობის აღსანიშნავად საღამო გამართა. საღამომ სწსტი შთაბეჭდილება დასტოვა. მიიღეს მისალოცი დეპეშები ელო არდრონიკაშვილისა დ შალვა დადიანისაგან. ხალხი ბევრი დაესწრო.

— ბაქოში კარგი ამინდებია. თბილა.

✦ ბათომის დრამატიულმა წრემ მთელი ზაფხულით მარიამობისთვის დამლევამდე რეჟისორად მიიწვია ქუთაისიდან მსახიობი ვანო ბარველი.

სოფლად.

✦ მიღებულ ცნობების მიხედვით, გურიაში წლეულს აღარ აპირებენ იმ ადგილების მოხვნას და დათესვას, რომლებიც შარშან წყალდიდობის დროს რიონმა წალეკა. რადგან ეს ადგილები მოსავლისათვის საუკეთესოდ ითვლება, ცხადია წლეულს, ჭირნახულის კარგი მოსავალიც რომ დარჩეს, სარჩო ნაკლებად იქნება გურიაში.

✦ ყაჩაღებისაგან მომეტებულად შეიწროებულია შიდა კახეთი. შიში და რიდი აღარავისი აქვთ. მომეტებულად ავიწროვებენ ვაჭრებს და მემამულეთ; საუფლისწულო მამულის გამგეობაც არ აკლებენ ხელს. ვისაც ფულს შეაგულებენ, წერილს უგზავნიან და ვადას უნიშნავენ. აღნიშნულ ვადაში თუ ფული არ მოუვიდათ, ნიშანში აღოღებული წუთი სოფელს უნდა გამოეთხოვოს. ფულის მიუცემლობის გამო მსხვერპლი გახდნენ ყაჩაღებისა იყალთოში არსენაშვილი და ორი კაცი რუისპირში. გასულ თვეებში კარგა მოზდილი თანხა შეაწერეს ველისციხის და მუკუზანის წისქვილის მეპატრონეებს და რადგან მაშინვე ამათ ფულის მიცემა ვერ მოახერხეს, ყაჩაღებმა წისქვილების მუშაობა შეაჩერეს. ორ კვირაზე მეტი იყო წისქვილები გაჩერებული, სანამ პატრონებმა შეწერილი თანხა არ გაისტუმრეს. ხალხი მეტისმეტად შეშინებულია, მით უმეტეს, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციის მხრივ შესაფერს ღონისძიებას ვერ ხედავენ ყაჩაღების წინააღმდეგ. ერთი ყაჩაღური ჯგუფი [illegible] მოჰკლეს ამ 2 კვირის წინად ჩაფრებმა, მაგრამ იმაზე უფრო მძლავრები („ზამბლის ბიჭი“, „უტრუხუნე“ და სესიაშვილი) თავისუფლად დანავარდობენ.

ზეცდომის გასწორება

ჭრა-კერვის სკოლაში მოწაფეებს უფასო ექიმობას უწევს შინაგან ავადმყოფობათა ექიმი ქალი ანნა ქავთარაძისა. იგი შეცდომით გვჭონდა მოხსენებული კბილის ექიმად.

მცირე განმარტება

გაზეთ „საქართველოს“ № 53-ში დაბეჭდილია წერილი სათაურით „ფრიდონოვის შაბიამანი“. გთხოვთ საპასუხოთ მოათავსოთ შემდეგი:

ბ. ფრიდონოვმა მიიღო პირველ პარტიათ 800 ბოჩკა შაბიამანი. წონით 12400 ფუთი, რომელიც დაურიგდა ოცდა შვიდ კოოპერატიულ ამხანაგობას, ნაწილი დაკვეთილისა 638 ბოჩკა, ანუ 9889 ფუთი და დანარჩენი 162 ბოჩკა მივეცით მთავრობის სხვა და სხვა აგრონომიულ დაწესებულებას და კერძო მემამულეთ.

მ. ე. ფრიდონოვის საქმეთა გამგე სვიმონ ხუნდაძე.

სახელმწიფო სათათბირო

8 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობენ როძიანკო და ვარუნ-სეკრეტი. იხილავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. გამოქცეულთა მდგომარეობაზე ლაპარაკის დროს წევრი **ზალიტი**, აღნიშნავს იმ საყვედურის უსაფუძვლობას თითქოს გამოქცეულები ზარმაცობდენ და მუშაობას გაურბოდენ. ორატორის აზრით, თუ გამოქცეულები სამუშაოზედ უარს ამბობენ, ეს იმიტომ რომ სამუშაოს გამცემნი ხშირად პირდაპირ აუტანელ პირობებში აყენებენ მათო. ორატორი მოითხოვს ჩამორთმეული ქონების საფასური მიეცეს გამოქცეულებს და ხაზინამაც აუნაზღაუროს ის ზარალი, რომელიც ამ ომის გამო გამოქცეულებს მოუვიდათ. ზალიტის აზრით ეს იქნება საუკეთესო დახმარება.

პაპაჯანოვი ამიერ კავკასიაზე ლაპარაკობს. აღნიშნავს რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია არ ცდილობს ქვეყნის ინტერესებისთვის, რომ იგი

ეს საყურადღებო ქვა მეტად საშიშ მდგომარეობაში იყო: ქვეშ კედელი გამონგრეული ჰქონდა და შეიძლებოდა სრულიად ჩამონგრეულიყო და ძირს ჩამოვარდნილიყო. ტაძრის მომვლელთ ამისთვისაც მიუქცევიათ ყურადღება და ამ ადგილას მტკიცე კედელი ამოუყვანიათ; ასე რომ ეს ქვა ამიერიდან სრულიად უზრუნველყოფილია.

8. ამგვარადვე ახალი კედელი ამოუშენებიათ და ძველი კედლები გაუმაგრებიათ ტაძრის სხვა საეჭვო და დაზიანებულ ადგილებშიაც, განსაკუთრებით საკურთხევლის კედლები აღმოსავლეთის მხრით.

როგორც მთელი ამ მუშაობის უახლოესმა ხელმძღვანელმა ანთ. გორგაძემ გადმომცა, აზრად აქვსთ, როგორც კი საშუალებას მოიპოვებენ, საკურთხევლის მთელი აღმოსავლეთის კედელიც ზემოთამდე ამოაშენონ და სამუდამოდ უზრუნველ ჰყონ ჩამონგრევისაგან. საჭიროა ამ საქმისთვის ყოველმა ქართველმა გამოიღოს თავისი წვლილი.

არამედ შესაძლოა მხოლოდ მის მოხატვაში და საზოგადოდ შემკობა-გამშვენებაში გამოხატულიყოს. — ამას გარდა ბაგრატ მე-III-ის ისტორიკოსიც ხომ მოგვითხრობს: „ამანვე (ე. ი. ბაგრატ მესამემ) აკურთხა ეკლესია ქუთათისისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითაო“ (იხ. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 245=ხელნაწერისა 471). აშკარაა—ეს ტაძარი ბაგრატის მეფობაშივე (მაშასადამე არა უგვიანეს 1014 წლისა) დამთავრებულა, თორემ სად გაგონილა დაუმთავრებელი ეკლესიის ასეთის ამბით კურთხევა!

9. რამდენადაც მახსოვს, წინეთ ამ ტაძარს ოთხამდე შესავალი ჰქონდა სრულიად უკაროდ, მოფენილი და ვისაც ჰსურდა—შედიოდა; დღეს, ერთის გარდა, ყველა შესავალი ამოუკაფებიათ და მხოლოდ სამხრეთის ერთერთი შესავლისათვის აუბამთ კარი*) რომელიც მუდამ ბოქლომით დაკეტილია და მისი გასაღები დარაჯს აქვს ჩაბარებული.

10. დასასრულ, ტაძრისა და მთელი მისი ეზოს მომვლელად და მუდმივ მეთვალყურედ მიუჩენიათ, მართალია უსწავლელი, მაგრამ საქმის ერთგული დარაჯი, რომელიც ბოლო დრომდე უსასყიდლოდ ეწეოდა სამსახურს, ახლა კი, როგორც გავიგე, იმერეთის სამღვდელოების კრებას ამ დარაჯისათვის სასყიდელიც დაუნიშნავს.

როცა ტაძრიდან ეზოში გამოვდიოდი, ამ დარაჯს ვეხუმრე: რა იყო, რა აწყენინე იმ კორესპოდენტს, გაზეთში რომ გემდუროდა მეთქი.

მიპასუხა: რა ვიცი, შენი ჭირიმე! მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ; აქ რამდენი სერთუკიანი კაცი მოვა, მე ყველა განათლებული მგონია, და

*) ეს კარი ზემოაღნიშნული ჩემი ბროშიურის გეგმაში ნაჩვენები არ არის, რადგან გეგმა ბ-ნის პავლინოვის მიერ შედგენილი გეგმის პირს წარმოადგენს; ხოლო პავლინოვს ეს კარი აღნიშნული არა აქვს, რაიც გეგმის ნაკლად უნდა ჩაითვალოს (იხ. Матеріалы по археологіи Кавказа. Вып. III. Москва. 1893 г., стр. 32). ამ კარის შესახებ ჩვენ ჩვენს წიგნაკშიაც ვლაპარაკობთ („ბაგრატ. ტაძარი“, გვ. 9, შენიშვნა მე-2-ე).

აპა რავა დევიჯერეფ, არ იცოდეს როდის ოუშენებიათ ეს ეკლესიაო. ამას რო შენისთანა სერთუკიანი კაცი მკითხავს, მე ასე მეგონება—დამცინისმეთქი და აპა რავაღა გოუბედამ ვუპასუხო რამე? ეს ხომ ჩემი მხრით დიდი თავხედობა იქნებაო! მაშინაც ასე იყო: მევიდენ ის დალოცვილები, ტანზე სერთუკები აცვიათ და მე კი მეკითხებიან: ვისი აშენებულია ეს ეკლესიაო, ან როდის აუშენებიათ ან როდის დაუნგრევიათო. მეც მეგონა დამცინიან, მცდიან მეთქი და ვუპასუხე: თქვენ უკეთესად არ მოგეხსენებათ, თქვენი ჭირიმე! თქვენ რა ჩემი სწავლება გინდათ მეთქი. ისინი კი წასულან და გაზეთში ლანძღვა დაუწერიათ. ახლა მიბძანეო: ჩემი რა ბრალია რომ იმათ ამ ეკლესიის არაფერი იცოდენო.

დაათავა თავისი გულუბრყვილო მსჯელობა გულკეთილმა დარაჯმა.

მართლაც, ნანგრევების დარაჯისა რა ბრალია, თუ ჩვენი მოინტელიგენტე და (ვაჲ, სირცხვილო!) ზოგჯერ მოკალმოსნე ახალგაზდებიც კი ჩვენის დიდებული წარსულის პირველ ხარისხოვანი ნაშთების ისტორიას სრულიად არ იცნობენ! გულკეთილი დარაჯის პასუხი ამგვარ ინტელიგენტთა უბადრუკობის საუცხოო დახასიათება და უმკაცრესი კრიტიკაა, თუ კი კარგად ჩაუკვირდებიან და შეიგნებენ.

ამიტომ მათ შესახებ ჩვენც აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ტაძრის ეზოდან გამოსული მე და ჩემი თანამგზავრები ყოვლად სამღვდელო გიორგი ეპისკოპოსისაკენ გავემართეთ: მინდოდა მენახა და დიდებული ნაშთის მოვლა-პატრონობისათვის ჩემი გულითადი მადლობა მომეხსენება, მაგრამ მათი მეუფება შინ არ ბრძანდებოდა; რომელიღაც გოსპიტლის მოსახილავად წაბძანებულიყო. რაღა გაეწყობოდა, გარემოებას უნდა შევრიგებოდი და პირადად ჩემთვის ძვირფასი ადამიანის უნახავად წამოვსულიყავი, იმ ადამიანისა, რომელთანაც ბედმა ჩემი საპედაგოგო სამსახურის დასაწყისი შეაერთა, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, ამ თხუთმეტი წლის წინეთ.

რადგან პირადად მადლობის მოხსენება ვეღარ მომიხდა, ვბედავ აქ, გაზეთის შემწეობით მაინც, გულწრფელი მადლობა შევსწირო როგორც მათს მეუფებას აგრეთვე ყველა იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც ბაგრატის დიდებული ძეგლის მოვლა-პატრონობაში რაიმე ღვაწლი მიუძღვისთ. ჭეშმარიტად წასაბაძავია მათი უჩინარი, მაგრამ გულწრფელი და უანგარო მუშაობა. მადლიერი შთამომავლობა მათს ამაგს არ დაივიწყებს!

ყველაფერმა, რაც ბაგრატის ტაძარში და მის ეზოში ვნახე, პირდაპირ გული გამინათლა, მანუგეშა და დამამშვიდა. დამამშვიდა იმ შეგნებამ რომ ამ დიდებული ნაშთის ადგილობრივ მომვლელი და მფარველ-პატრონი აღმოუჩნდა და მისი ბედი ამიერიდან უზრუნველყოფილია.

ამ ტკბილი გრძნობებითა და შეგნებით გულსავსეშმნილი გამოვეთხოვე ჩვენს უძველეს დედაქალაქს და გამოვეშურე ჩვენი მეორე დედაქალაქისაკენ.

ს. გორგაძე.

ხელოვნურათ თიშავს ეროვნებებს და ყველაფერში პასუხისმგებლად სომხობა გამოყავს. ორატორი გადაკვრით ეხება ადგილობრივ ადმინისტრაციას და ამბობს, ომმა დაამტკიცა თუ რა სეპარატისტები იყვნენ სომხებიო. აჭარლების პროცესის შეჩერებას ორატორი დიდის კმაყოფილებით და სიამოვნებით შეეგება. იგი იმედოვნებს, რომ გამოიცემა სათანადო განკარგულება ყარსის ოლქის სომხების პროცესის შეჩერების შესახებაც. ორატორი გამოთქვამს სურვილს, რომ საერობო დაწესებულებებში და სახელმწიფო სამსახურშიც არც ერთი ეროვნება არ გაირიყოს და განზე არ იქმნას დატოვებული.

ბარონ **მეიენდორფი** ეხება რუსეთის გერმანელთა ძალაობას და მოითხოვს რომ გერმანელებმა რუსეთში თავი მორიდებით დაიჭირონ, რა კი ერთგვარი საერთო ანტიპატია უკვე არსებობს მათ მიმართო. ორატორი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ გერმანელთა ძალაობის საკითხი რუსებ შორის ერთმანერთის გამტყუნებისა და გაკიცხვის წყაროდ გადაიქცა. გერმანოფილობას ერთმანერთს სწამებს მემარცხენე და მემარჯვენე სათათბირო. სვიატოპოლკ-მირსკის საპასუხოდ მეიენდორფი აღნიშნავს პრუსიაში პოლონელთა მიწების ექსპლოატაცია უფრო ლმობიერი იყო, ვიდრე ის ზომა, რომელიც რუსეთშია მიღებული გერმანელ კოლონისტების მიმართო. სიტყვის დასასრულში ორატორი მოითხოვს, რომ გადასახლებულ გერმანელ კოლონისტებს მიეცეს ისეთივე დახმარება, როგორიც ეძლევა საერთოდ გამოქცეულებს.

საზოგადო კამათი მოსპეს. სათათბირო მუხლობრივ იხილავს ხარჯთაღრიცხვას. კოლინინი გლეხთა ჯგუფის სახელით მოითხოვს რეფორმებს. უწინარეს ყოვლისა უნდა მოხდეს გლეხთა უფლებრივი გათანასწორება.

გოდნევი ეკითხება მთავრობას თუ მართალია ხმები, ვითომც მთავრობა სუბსიდიებს აძლევდეს იმ გაზეთებს, რომელნიც სახელმ. სათათბიროს პრესტიჟს ამცირებს საზოგადოებაში.

სტანისლავსკი მოითხოვს მთავრობა ფულით დაეხმაროს საერობო და საქალაქო თვითმართველობათ ისე, როგორც სოფლის საზოგადოებათ და კოოპერატივების ომში მოკლულთ შვილებისთვის თავშესაფარის ასაგებად.

სკობელევი აქვეყნებს წერილს, სადაც აღნიშნულია ბაქოს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების არჩევის დროს, მუშების დაპატიმრება.

შმიაკოვი, გლეხების წარმომადგენელი და ათანასიევი მოითხოვენ ჯარში სოფლის პოლიციის გაწვევას.

საგულისხმიერო რეზოლიუცია

8 მარტის სხდომაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედების განხილვის შემდეგ, სახელ. სათათბირომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია 128 ხმით წინააღმდეგ 72:

„სახელმწიფო სათათბირომ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ დღევანდელ დღეს, როდესაც ყოველგვარი შინაური ბრძოლა და აყალ-მაყალი უნდა სდუმდეს და როდესაც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები ქვეყნისაგან რაც შეიძლება მეტ ძალღონესა და მსხვერპლს მოითხოვს, ხოლო ხალხისაგან მეტ მწყობრ, ორგანიზაციულ მუშაობას, რომ ასეთ მომენტში შინაგან საქმეთა სამინისტრო ძველებურად განაგრძობს თავის უმოქმედობისა და კანონის გადალახვის პოლიტიკას, თესს შუღლსა და უთანხმოებას მცხოვრებთა შორის, ამწვავებს ეროვნებათა შორის დამოკიდებულებას; მიიღო რა მხედველობაში ის გარემოებაც, რომ სამინისტროს ბრძოლამ სიძვირის წინააღმდეგ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც მას არც სახელმძღვანელო იდეა ჰქონია, არც შესაფერი ცოდნა შესწევდა და არც უნარი, რომ სათანადო ღონისძიება მიეღო, ხოლო რადგან მისმა შეუფერებელმა ზომებმა გერმანელთა ძალაობის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით ის სამწუხარო ნაყოფი მოიტანა, რომ ყანის სივრცე საგრძნობლად შემცირდა და ზოგ ადგილზე სრულიად დაინგრა და გაპარტახდა ოჯახი და მეურნეობა; მესამედ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სამინისტრო კვლავინდებურად უნდობლად და მტრულად უცქერის საზოგადოებრივ ძალებს და გაურბის სახელმწიფო სათათბიროსთან თანამშრომლობას,— სახელმწიფო სათათბირო აუცილებელ საჭიროებად სცნობს, რომ დაუყოვნებლივ აღსრულებაში იქმნას მოყვანილი ის ღონისძიებანი, რომელიც სათათბიროს ექვსმა პარტიამ შეთანხმებით წამოაყენა. ამას გარდა თუ კანონმდებლობის გზით გერმანელთა მიწების ჩამორთმევა მართლაც დამტკიცდა, სათათბიროს საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქმნას ზომები, რომ ეს მიწები ჩაირიცხოს სათადარიგო მიწის ფონდში და შემდეგ გადაეცეს მიწის მუშა ჯარისკაცებს. ამის შემდეგ სათათბირო მორიგ საკითხებზე გადადის“.

თავდასხმა

(წერილი სამეგრელოდან)

27 თებერვალს, ღამით, როცა მთელი სოფელი ღრმა ძილში იყო გახვეული, ხუთი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა სოფ. რიყის (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებ დავით ჭიჭინაძეს. ხეთქეს თოფების კონდახები კარებს, გამოაღვიძეს ჭიჭინაძე და „მფრინავი რაზმების“ სახელით მოსთხოვეს გაცემა ავაზაკისა, რომელიც ვითომდა იქ იმალებოდა.

გლეხი წამოდგა ზეზე, გაუღო კარი და მოახსენა: „მობრძანდით და გაჩხრიკეთ სახლი, ჩემთან თუ ავაზაკს ნახავთ, ჩამომახრჩეთო“.—შეიჭრა სამი შეიარაღებული დარაჯის ფორმაში გამოწყობილი კაცი, ხოლო ორი—დარჩა გარედ. შესულებმა მოულერეს სამი მხრით სახლის პატრონს თოფები და უბრძანეს: „უბეში ექვსასი მანეთი გაქვს, რომელიც დაუყონებლივ უნდა ამოიღო, თუ გინდა ცოცხალი დარჩეო“. ჭიჭინაძეს მეტი რა ღონე ჰქონდა ამოიღო უბიდან ფული (540 მან.) და ოხვრით გადასცა. ამის შემდეგ გაიგდეს წინ და მიუბრუნდნენ მეორე სახლს, სადაც გაძარცული ჭიჭინაძის ცოლშვილს ეძინა. ისინიც გამოელვიძებია ხმაურობას და დაშინებულთ კარები მაგრად ჩაეკეტათ.

მოსთხოვეს კარების გაღება, მაგრამ კარები არ იღებოდა; გაბრაზებულმა „დარაჯებმა“ ჩაამტვრიეს ფანჯრები და იქიდან შეძვრნენ,—შეაძვრინეს თვით სახლის პატრონიც;

ააწიოკეს მთელი ოჯახი: ქალი, ბავშვები. დაჩხრიკეს ყოველი კუთხე სახლისა, მოუყარეს თავი სხვა და სხვა ნივთ-ავეჯულობას, დაემუქრნენ მასპინძელს თუ ხმას ამოიღებდა და გაუდგნენ გზასა.

ცოტა ხნის შემდეგ გაძარცულ-აწიოკებულ ოჯახიდან გაისმა წივილ-კივილი. მოცვივდნენ მეზობლები, საიდანღაც გაჩნდა აგრეთვე ადგილობრივი „მფრინავი რაზმი“ (летучая команда) რაზმის უფროსი ურიდიას მეთაურობით. ესენი დაერივნენ, თურმე, ხალხს და რამოდენიმე კაცი გაამთრახეს კიდეც: როგორ გაბედეთ თქვენ, აქ თავი მოგეყარათო. და გაფანტეს ისინიც კი, ვინც მძარცველებს კვალდაკვალ მისდევდენ.

მეორე დღეს, როცა აქ მოსულმა ადგილობრივმა ბოქაულმა გაძარცულთ გამოჰკითხა იცვნეს თუ არა ვინმე მძარცველთაგანი, იჩინა თავი ერთმა „დაუჯერებელმა“ გარემოებამ: გაძარცულ ჭი-ძის ცოლმა ხელი დაადვა მფრინავი რაზმის უფროსს ბ-ნ უ-დიას.—აი სწორეთ ეს ვაჟბატონი გახლავთ ის პირი, რომელიც წუხელის ჩვენს მძარცველ-ამწიოკებელთ ხელმძღვანელობდაო. ეჭვით რამდენიმე კაცი შეიპყრეს, ხოლო რაზმის უფროსის შესახებ, მგონი, ჯერ ოქმი არ შემდგარა.

დაუჯერებელია რაზმმა; რომლის მოვალეობა ხალხის კეთილდღეობის დაცვაა, ძარცვა-გლეჯაში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ჩვენი რაზმელების ამა შემთხვევაში საქციელიც ეჭვის მომგვრელია.

კაი.

არქიელი კახეთში

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ნუკრიანის სადგურის მიდამოებში 5 მარტს ნაშუადღევის 2 საათისთვის თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა, რომელიც მოელოდა თავის ახალ მწყემს მთავარს საქართველოს ექსარხოსს. აქვე თავი მოიყარეს წარმომადგენლებმა სასულიერო უწყებისა, თავად-აზნაურობის და ადმინისტრაციისა. სრულ 2 საათზე ავტომობილით მობრძანდა საქართველოს ექსარხოსი საქართველოს მონასტრების კეთილ მოწესრიგე არქ. ნაზარისა და სამრევლო სკოლების დეკ. ორეხოვის თანხლებით.

პირველი სალამი მათ მეუფებამ მიიღო გრძნობიერ სიტყვით სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილის თ-დ ლ. დ. ანდრონიკაშვილისაგან, რომელსაც არქიელმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ გაემართა ბოდბის დედათა მონასტერში საც ძველ ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ ფრიად შინაარსიანი სიტყვით მიმართა იქ შეკრებილთ მათმა მეუფებამ წმ. ნინოზე. სხვათა შორის მათი მეუფება შეეხო წმ. ნინოს უკვდავ სულს და ის აზრი გამოსთქვა, რომ მისი სული უკვდავი დარჩება თუ გინდ მთელი ძალნი ქვეყნისანი აღსდგნენ ქრისტიან საქართველოს წინააღმდეგო. პარაკლისის შემდეგ არქიელს წარუდგნენ იღუმენიის ანასტასიას ბინაზე ლეპუტაცია სიღნაღიდან პურ-მარილით და აგრეთვე სიღნაღის სხვა და სხვა დაწესებულებიდან.

6 მარტს არქიელი მწირველი იყო სამონასტრო ტაძარში, სადაც წირვის მეტი წილი ქართულ ენაზე იქმნა შესრულებული. იმავე დღეს მათი მეუფება გაემგზავრა სიღნაღს. ადგილობრივ მთავარ-ანგელოზის ტაძარში მათ მეუფებას დეკ. ბეგიაშვილი შეხვდა სიტყვით, რომელზედაც არქიელმა სამადლობელივე სიტყვით უპასუხა. პარაკლისის შემდეგ მათი მეუფება გაემართა სომეხთა ტაძარში. აქაც სიტყვით მიმართა იქ დამსწრე სომხებს. თავის სიტყვაში არქიელმა განუმარტა, რომ სომეხთა და ჩვენ შუა დოგმატიურად გარჩევა არ სუფევსო, ასე რომ ეს ომის ხანა რომ გაივლის ყველანი ერთ ღმერთსა და მეფეს უნდა ვემსახუროთო. სიღნაღის თავად-აზნაურობამ ეკლესიების დათვალიერების შემდეგ არქიელი მიიწვია სადილზე სადაც წარმოითქო მრავალი სიტყვები.

7 მარტს არქიელი გაემგზავრა ხირსის მონასტერში ყოველად სამღვდელო პიროს ალავერდელთან ერთად, რომელიც აქ შეხვდა მათ მეუფებას. სამონასტრო ტაძარში არქიელს შეხვდნენ ძმანი მონასტრისა და მონასტრების კეთილ-მოწესრიგე არქ. ნაზარი, რომელმაც მეტად გრძნობიერ სიტყვით მიმართა. არქიელმა მადლობა გადუხადა და მცირე პარაკლისის შემდეგ გაემგზავრა ხირსის გარშემო მდებარე ეკლესიებისა და სკოლების დასათვალიერებლად. გზაზე ხალხი ხვდებოდა, არქიელი ჯვრებს ურიგებდა და მოწაფეებს სცდიდა სწავლაში. ხირსიდან მათი მეუფება დაბრუნდა ბოდბის მონასტერში და აქედან ნაშუადღევის 3 საათზე თბილისისაკენ გამოემგზავრა.

დაგა-სოფლები

ს. ძარელი. ეს სოფელი ქ. გორიდან 18 ვერსის მანძილზე მდებარეობს. ამ სოფელს მრავალი თვალსაჩინო ღირსებები აქვს, რომელსაც გორის მაზრის სხვა სოფლები მოკლებულნი არიან: ჩრდილოეთის მხრივ, ზედ გვერდზედ, ჩაუდის რკინის-გზის ლიანდაგი, ლიანდაგის გვერდზე მიიზლაზნება მდ. მტკვარი, სამხრეთით დიდი მთები, მწვანით შემკულნი, მშვენიერი ცივი წყაროები, ზაფხულში გრილი ჰაერი, მრავალი ხეხილებისა და ბოსტნეულობის ბაღები და მრავალი სხვა ბუნების სიუხვე ამკობს და ალაზათიანებს მას. სამწუხაროდ, აქ ვერც ერთი კულტურული დარგი ფეხს ვერ იკიდებს.

აქ ითვლება 400 კომლამდის. მათ შორის 280 კომლამდის ქართველი იქნება. 100 კომლი ებრაელი და დანარჩენი სომხები. ამ სოფელს მშვენიერი სავაჭრო ბაზრი აქვს. ვაჭრობა-მრეწველობა ებრაელებისა და სომხების ხელშია. ქართველი მკვიდრნი ხვნა-თესვას მისდევენ. 1881 წლიდან აქ არსებობს პირველდაწყებით სამინისტრო სასწავლებელი. ამ 34 წლის განმავლობაში სულ სამი-ოთხი მასწავლებელი თუ იყო ქართველი, ხოლო დანარჩენნი სულ სხვა ტომის მასწავლებლები იყვნენ.

აქ დაარსდა ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნთ-საცავ სამკითხველო, სამიოდე წელიწადი ვაი ვაგლახით გაატარა თავისი არსებობა და შემდეგ, უსახსრობისა გამო, დაიხურა. მემამულე თ. თ. ციციშვილებმა გახსნეს საერთო სავაჭრო სახლი „საციციანო“, მაგრამ ერთი წელიწადი ვერ მიახწია და დაიკეტა. დარჩა ერთად ერთი სასარგებლო დაწესებულობა ადგილობრივი საავათმყოფო, რომელიც დაარსდა საგუბერნიო ექიმის ბ. ქიქოძის მეცადინეობით 1911 წელს. ამ საავათმყოფოს 1914 წელს ექიმის დარიგებით და წამლობით უსარგებლნია 10,623 კაცს, 1915 წ. 12450 კაცსა. ეს საავათმყოფო რომ არ ყოფილიყო, 4% რომ გამხდარიყო ავათმყოფობის მსხვერპლი, სულ ცოტა 496 კაცი დაგვაკლდებოდა ერთ წელიწადში. ეხლა ამ სასარგებლო დაწესებულებასაც განსაცდელი მოელის: ამ ცოტა ხანში ს. ქარელში ბძანდებოდა თბილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ. ბროძელი გუბერნატორის მონდობილობით ზოგ-ზოგი საავათმყოფოს შესახებ საკითხების გამოსარკვევად; ყველა მახლობელი სოფლებიდგან დაბარებულები იყვნენ წარმომადგენლები. რუისისა და მოვრეთის საზოგადოებების წარმომადგენლებმა განუცხადეს ბ-ნ ბროძელს, რომ მათ არა ჰსურთ საავადმყოფო და სთხოვეს მის ხარჯიდგან განთავისუფლება (სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ პირველნი იხდიან საავათმყოფოსათვის წელიწადში კომლზედ 75 კაპ., ხოლო მეორენი 50 კაპ.) როდესაც ბ. ბროძელმა ჰკითხა მიზეზი ამისი, მათ, უმთავრესად მიუთითეს იმაზედ, რომ როდესაც ს. ქარელში ადგილობრივ მობძანდა გუბერნატორი საგუბერნიო ექიმით, საავათმყოფოს გახსნის თაობაზე, ჩვენ გლეხკაცებმა ვიკისრეთ საავათმყოფოს სასარგებლოდ წელიწადში 1400 მ., ხოლო მემამულეთ თ. თ. ციციშვილებმა განუცხადეს პირადად ბ. გუბერნატორს, რომ ისინი საერთო კანტორიდან წელიწადში შეიტანდნენ საავადმყოფოსათვის, მანამ კანტორა იარსებებს, 600 მანეთს და ეს თავიანთ ყრილობაზედ წერილობითაც დაადგინეს. ეს დაპირება ბ. ბ. ციციშვილებმა 1912, 13 და 14 წლებში კი შეასრულეს და 1915 წელში და ამ 1916 წ. არცა რა შემოუტანიათ რა და აღარც აპირობენ შემოტანას, რომორათაც არა ერთხელ განუცხადეს, ფულის მოთხოვნაზედ კნ. მ. ზ. ციციშვილისას, საავათმყოფოსთან არსებული კომიტეტის თავმჯდომარეს, და როგორც ვხედავთ 1400 მანეთით საავადმყოფო არ შეინახება და ის 600 მანეთიც, რომელიც თ. თ. ციციშვილებს აღარ შემოაქვთ, ჩვენ დაგვაწვება და სხვა ზედმეტი ხარჯებიც, ჩვენ კი ეს არ შეგვიძლიან და თუ ციციშვილები არ გადიხდიან თავიანთ დაპირებას, არც ჩვენ გვინდოდაო.

ძნელი დასაჯერებელია ამ ნაირი საქციელი თ. თ. ციციშვილებისა, რამაც მწარე ღიმილი გამოიწვია ბ. ბროძელისა. იგი შეეკითხა თ. თ. ციციშვილებს წერილობით ტ ჯერ არა სჩანს, რა პასუხს მისცემენ უკანასკნელნი. სწორედ დიდი დანაკლისი იქნება მცხოვრებთათვის და დიდი სამწუხარო, თუ მართლა ეს საავადმყოფო ბ. ბ. ციციშვილების მიზეზით დაიკეტა, მით უმეტეს, რომ იგი მათთვისაც სასარგებლოა, უსარგებლიათ, სარგებლობენ და კიდევაც ისარგებლებენ. თუმცა დღეს ექიმი არ გვყავს, მაგრამ საავადმყოფოს განაგებს ფერშალი ბ. გოგელია, კარგა დახელოვნებული თავის საქმეში და მუყაითი მშრომელი, რომელიც დღეში 40—50 მდის ავადმყოფს იღებს და სწამლობს.

სოფელში პურის ნაკლებობამ და შიმშილმა უკიდურესობამდის მიახწია: ენკენისთვის აქეთ სცდილობენ ორი ვაგონი ხორბლის შეძენას და ჯერაც არსადა სჩანს. ერთი ვაგონი პურის ფქვილი რის ვაი-ვაგლახით შეაგროვეს და ლამის ისიც სხვა და სხვა გადასახადებში შემოეხარჯოთ.

წელს სოფლის მოხელე მამასახლისებს და მწერლებს კარგი წელიწადი დაუდგათ. წლევანდლამდის მამასახლისი იღებდა თვეში 30 მ. და მწერალნიც ამდენსავე. ოთხი ჩაფარი იღებდა თვეში 63 მ. და მამასახლისის თანაშემწე კი კრმლზე 1 ჩანახს პურს, არ იღებდნენ კანცელარის ქირას, რადგან თავიანთი შენობა ჰქონდათ, წელს კი დაქირავებულ შენობაში აძლევენ 10 მ. ასე რომ წელს ძალიან ბევრი ზედმეტი ხარჯი მოემატათ ამ საგანზედ: მამასახლისს დაენიშნა 40 მ. მწერალს 50 მ. ოთხ ჩაფარს 80 მ. კანცელარის და მიმსვლელ-მომსვლელ მოხელეებისათვის ოთახი 20 მ. კანცელარის ხარჯი: გათბობა-განათება და სხვა სულ თვის ოთახი 20 მ. კანცელარის ხარჯი: გათბობა-განათება და სხვა სულ ცოტა ხვდებათ თვიური გადასახადი 220 მანეთი ხოლო წინად იხდიდნენ 105 მა. ხალხმა ძალიან იუცხოვა ამოდენა ხარჯის მომატება, მაგრამ როდესაც მომრიგებელმა შუამავალმა განუმარტა, ეს გუბერნატორის განკარგულებით, მოხდაო გაჩუმდა.

როგორც ზევით მოგახსენეთ, აქ არსებობს სამინისტრო სასწავლებელი 1881 წლიდგან და ამ სასწავლებლისა თვის, ხალხის ყრილობის განაჩენის ძალით, ყოველ წლივ იკრიფებოდა 300 მ. მასწავლებლის ჯამაგირი, სამი საენე შეშა და 72 მ. მოსამსახურის ფული. ეს 300 მ. 1913 წლამდის ყოველთვის შეჰქონდათ, ხოლოდ, რადგანაც ხსენებულს წელში უმაღლესად დამტკიცებულს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით წელიწადში 7 მილიონი გადაიდო სამინისტრო სასწავლებლების მასწავლებლების ჯამაგირად და ისინი იღებენ არა 300 მ., არამედ 360 მანეთს, წლიური გადასახადი 300 მანეთი 1913 წლიდან აღარავის მოუკითხნია, და ან რაღაში უნდა მოეკითხათ, როდესაც სახემწიფო საბჭომ მასწავლებლები უკეთესად დააკმაყოფილა. ეხლა კი დირექციის განკარგულებით პოლიცია სასტიკის ზომებით აპირობს აკრეფას ამ 4 წლის დარჩენილს მასწავლებლის ჯამაგირს წელიწადში 300 მანეთს, ხოლო 4 წლისას 1200 მანეთს, და ამ ფულის გადასახადიდან კი ხალხი თავისუფალი უნდა იყვნენ, ვინაიდან ხაზინიდან იღებენ მას, რასაც სოფელი აძლევდა. ამ გაჭირვებაში, შიმშილობაში, სისხლს ტვრიან ხალხს და განა ის-ღა აკლია ხალხს, რომ ზედმეტ გადასახადებს და რაც არ ეკუთვნით იმეებსაც თხოულობენ?! ამ 1200 მანეთის გადახდის თვითნებობაზე ბ-ნ გუბერნატორს უკვე მიართვეს თხოვნა და ვნახოთ რა პასუხი მოუვათ.

წალკოტელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.

Liebesgaben für die
russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით **ასეთ** ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,

№ 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное
Suisse. Recommandée
Comité International de la
Croix Rouge.
Agence des prisonniers de
guerre Genève.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53	საღ.
„	საფ. „	3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20	საღ.
„	ჩქარი „	6	12.8	დღის
„	სამგ. „	8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30	საღ.
„	სამგ. „	10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3	დილ.
„	ჩქარი „	5	7.41	საღ.
„	სამგ. „	7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	. .	8 ს. 58	წ.	დილ.
ნავთლული-ამიერ კავ.	9 „ 23	„	„	
ნავთლული-კახეთისა.	9 „ 43	„	„	
ვაზიანიდან	. .	10 „ 42	„	„
იორიდან	. . .	11 „ 35	„	„
საგარეჯოდან	. .	12 „ 17	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 15	დღის	
მელაანიდან	. . .	2 „ 37	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	. .	4 „ 58	„	„
თელავში მიდის	.	5 „ 35	„	„
გურჯაანიდან	. .	4 „ 18	„	„
კარდენახიდან	. .	4 „ 50	„	„
წნორის-წყალ. მიდის		5 „ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	. . .	8 ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	. .	9 „ 45	„	„
გურჯაანიდან	. .	10 „ 46	„	„
მელაანიდან	. .	12 „ 02	„	„
ბადიაურიდან	. .	1 „ 13	„	დღის
საგარეჯოდან	. .	2 „ 15	„	„
იორიდან	. . .	2 „ 53	„	„
ვაზიანიდან	. . .	3 „ 40	„	„
ნავთლულ-კახეთ.	.	4 „ 31	„	„
ნავთლულ-ამიერ-კავ.	4 „ 46	„	„	
თბილისში მიდის	.	5 „ 01	„	„
წნორის-წყლიდან	.	9 ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან	. .	9 „ 46	„	„
გურჯაანში მოდის		10 „ 16	„	„

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, საშრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.